## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 2016-183.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „22" 12. 2016 წ.
ერთის მხრივ შ.პ.ს. „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი" მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №21, სს „თიბისი ბანკი"-ს მარჯანიშვილის ფილიალი, ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგ№ GE38TB1100000360200864 ს/კ 204862372

(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „სპექტრა გეზის ჯორჯია" მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №21, სს „თი ბი სი ბანკი"-ს ვაკის ფილიალი, ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგ№ GE98TB0628036020100002 ს/კ 205184398

(შემდგომში „მიმწოდებელი")

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ქვემოთჩამოთვლილი საქონელი (შემდგომში „საქონელი") შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი საქონლის შესაბამის თანხაზე, რომელიც შეადგენს 1521,11 (ათასხუთასოცდაერთი და 11 თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
2.

| № | დასახელება | CPV კოდი | რ-ბა | ერთ. ფასი, ლარი | სულ, ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვაკუუმური ფირფიტა 6 მმ (რულონით) (0,1მX0,2მ) | 19500000 | 0,2 კგ | 42,3 | 8,46 |
| 2 | უ/ფოლადის ექვსწახნაგა 12X18XH10T 46X1300მმ (0,5 მეტრი) | 14600000 | 7,5 კგ | 62,052 | 465,39 |
| 3 | წყობური 3*3მმ (მეორადი) | 14600000 | 2,0 კგ | 26,16 | 52,32 |
| 4 | უ/ფოლადის მილი 8*2 | 14600000 | 1,6 კგ | 125,04 | 200,07 |
| 5 | უ/ფოლადის ფურცელი 2მმ | 14600000 | 16 კგ | 49,68 | 794,85 |
| | სულ: | | | | 1521,11 |

3.

2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობებისა და დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 01 თებერვლამდე

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

## 3. თანმდევი მომსახურება

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მიწოდებასთან.

3.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

## 4. გარანტია

4.1 თუ გამოვლინდა რაიმე დეფექტი მიწოდებულ საქონელზე მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას აღნიშნული დეფექტი საკუთარი ხარჯებით

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

## 5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1. მიმწოდებელი საქონლის მიტანას ახორციელებს შემკვეთის მიერ მოთხოვნილ საქონელზე თანდართული გრაფიკის შესაბამისად შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №21

5.2. მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 დღის განმავლობაში.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს დ.ღ.გ-ს ანგარიშ-ფაქტურები საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით;

5.4. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

## 6. ანგარიშსწორება და ფასი

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: გადარიცხვა

6.2. გადახდა განხორციელდება საქონლის მიღების შემდგომ 2016 წლის 31 დეკემბრამდე

6.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1521,11 (ათასხუთასოცდაერთი და 11) ლარი დღგ-ს ჩათვლით.\

## 7. ინსპექტირება

7.1. შემსყიდველს აქვს უფლება განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, რასაც იგი ახორციელებს ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით, შესასრულებელი ან შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხის და ვადების ხელშეკრულებას მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისა და მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირების მიზნით.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

## 10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

| „მიმწოდებელი“ | „შემსყიდველი“ |
| --- | --- |
| ________________ შ. რამიშვილი | ________________ შ. შალიბაშვილი |
| აღმასრულებელი დირექტორი | აღმასრულებელი დირექტორი |

(ბეჭედი: შპს სპექტრა გეზის ჯორჯია, SPECTRA GEORGIA, 205184398)

(ბეჭედი: NATIONAL HIGH TECHNOLOGY CENTRE OF GEORGIA, 204862372)

ვ. ფარიძე შვილი